

# ლიტერატურული განცემი

№64 9 - 22 დეკემბერი 2011

გამოყის მრ პვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თათრი









## ვაჟა ხორნაული

**პორიზონთაგზე მოვა იეგად**  
გაუხუნარი ხმა და ფოთლები  
გასაოცარი გზა და ნაფრენი  
მარადიული საგალობლების  
გარდა არ გახსოვს აღარაფერი.

ვინ არ გაწირა ვინ არ ეომა  
თავისუფლებას არწივებისას  
მაღრამ მდინარის მდინარეობამ  
ამრავლა ოქრო ნაპირებისა.

დღის ამალება ფერთა დაღადი  
ლრუბლის სარკმლები და მზის ლალები  
ლექსიდან ლექსში ელვად გაძადის  
უამი ტკივილის დაკრისტალების.

იქნება ჩუმი მონანიება  
და ფრთები — ზეცას შეწირულები  
პორიზონტზე მოვა იებად  
თავდავინყება ჩვენი გულების.

**გარადიულად იგრძელება**  
ამ მხარეებში გადმოხვედი  
მზიან ნისლიდან  
და განიცადე სასწაული —  
ღმერთის ღმერთობა  
სიკვდილ-სიცოცხლე ერთნაირი  
ხიბლით გიზიდავს  
ზვარაკი რომ ხარ  
დუმილსა და ხმაზე გეტყობა.

არ გაგიმეტებს სიბერისთვის  
ფიქრი განგების  
როცა იქნება — ცა და მინა  
გეტყვის შენდობას  
მარადიულად იბრნყინებენ  
შენი ტაძრები  
და სივრცეებში გიმასპინძლებს  
დიდი მხედრობა...

\*\*\*  
ყანის შრიალი და ხმა ჩიტების  
გულებში ღმერთის მარგალიტები.  
სხვა ალმართები და ცა მინდოდა  
და ოქრო ახალ სანაპიროთა.  
ერთი ნაპერწლით თუ არ იცნობის  
წაგილებს ჩრდილი უვარებისობის.  
დავიწყებული გზა და ხიდები  
და სევდა ღმერთის მარგალიტების.

**ლეისტი დალოცავს**  
ავფრების უამი ჩაივლის  
ქარი მოიშლის შარებსა  
განათდებიან ლრუბლები  
ცა შემოალებს კარებსა  
ერთურთი გაუხარდებათ  
ვარსკვლავებსა და ყანებსა  
ისევ მოგივალო მე და შე  
ისევ მოგიყვანთ დარებსა  
ფერებსა — თეთრსა ყვითელსა  
იაურსა თუ მწვანესა  
შული შებლს მიეფერება  
ვაკოცებ ბაგე-თვალებსა  
ხალისი დაუბრუნდება  
სახეებს — ადრე მკრთალებსა  
და მიენდობა სიცოცხლე  
ბედნიერების მკლავებსა.

ღმერთი დალოცავს წყაროებს  
გულებში მოკამაება...

**გრძელების მოცოდებული**  
სიკვდილის რვეულს უხდება  
ყვავილოვანი ყდებიო  
გადაშლი შემოგესმება  
ნაირ-ნაირი ხმებიო  
პირველ ფურცელზე სწერია

(პნკარები მზისა ფერია)  
სიტყვები საოცრებიო:  
„ღმერთის კალთიდან გადმოსულს  
რად მომიმრავლდა მტრებიო  
ბრძენებაცთა მოხონებული  
ჭორის სათრევი ვხდებოთ  
(თავს რომ იღუპავ ბერავო  
მე რაღას მემართლებიო).“

მახარებს ყველა აკვანი  
(და გზები ცისკენ ნაკვალი)  
ყველა საფლავთან ვკვდებიო  
სიცოცხლეს ვეძმობილები  
სიყვარულს ვენაცვლებიო.“

## ხეამ დაუძახა ღვთისამა

გულის იები დანამა  
სიიბომ ახალი ღლისამა  
დარდს ფრთები გაულამაზა  
ტკივილმა დიდი ხნისამა  
სხვა სასწაული იხილა  
ხმაშ დაუძახა ღვთისამა  
ვეღარ მიცანი  
შემცვალა  
უსასრულობამ ცისამა.

სიზმრის გადაღმა სიზმარში  
რომ შემხაროდი ისა ვარ.

\*\*\*

მაგრამ თუ გადაგეყარა  
ჭეუაებალა ქალიო  
შესადარელი მიასის  
გატებზარება ხალისი  
დრო დაგიდგება მერთალიო  
გულზე მოგიჭერს ტკივილი  
როგორც ყინულის რკალიო  
დაგრჩება მოგონებადა  
სიტყვის ლამაზად თქმანიო.

თავდაღმა გამოგისხლტება  
აღმა ნასული გზანიო.

\*\*\*

ზოგჯერ ლხინია სიცოცხლე  
ზოგჯერ მზიანი ნისლია.

ბილიკი სიყვარულისა  
ხან მწვანე ხანაც სისვია.

ვარსკვლავნი გახარებულან  
როდესაც მტერი მიხსნია.

ხმებს შენთვის ვალამაზებდი  
(ქარში ისმოდა: „ვისია?“).

მე — ღირსმა არათრისამა  
გაგზადე ზეცის ღირსია.

\*\*\*

ყანის შრიალი და ხმა ჩიტების  
გულებში ღმერთის მარგალიტები.

სხვა ალმართები და ცა მინდოდა  
და ოქრო ახალ სანაპიროთა.

ერთი ნაპერწლით თუ არ იცნობის  
წაგილებს ჩრდილი უვარებისობის.

დავიწყებული გზა და ხიდები  
და სევდა ღმერთის მარგალიტების.

## გაგის იგედი რომ არა

გული — ნათლული ღმერთისა  
ხანდახან ისე ბრწყინავსა  
ერთფერად გაპევირვებიათ  
სადამოსა თუ დილასო  
მაგის იმედი რომ არა  
ახლა მშვიდსა და მცინარსო  
დიდი ხანა მნახავდით  
იმქვეყნად წყაროს პირასო.

## გადის გილი რომ არა

გულების ბედნიერებას  
განა ისეთი რა უნდა —  
თვალებთან ბიბილოებთან  
ტკივილი სიტყვების თქმა უნდა  
ვაჟის გულმკერდზე გაშლილი  
ქალის სუნთქვა და თმა უნდა  
გახარებული მელავები  
სიიბო სამოთხის ქარების  
და უნაპირო ზღვა უნდა.

## ტკივილი ხაში

ვაჟიკამ ნახა ხვარამზე  
საზმარში განა ცხადშია —  
ხელებს უწვდიდ შორიდან  
შუქვით ჩანდა ქარშია  
მიდის ვაჟიკა ვერც მიდის  
დაჭრილი ორსავ მხარშია  
თითქოს ჰაერმა შებოჭა  
და მიაბიჯებს წყალშია  
სევდა მდუმარებაში  
და ტკივილია ხმაშია.

უცებ ფერები გაქვავდა  
კლდეზე ბილიკი გამკრთალდა  
თითქოს მზე იძრა ცაშია.

ვაჟიკას ნაცვლად ხვარამზეს  
ინდი დახვდება სახლშია.

## ზიძრის ზრილობა

ნეტავი რისთვის თენდება —  
ნუთუ მარტოდენ მისთვისა  
რომ ისევ ვნახოთ მგზავრები  
შეუმჩნეველნი ცისთვისა  
ბზარები კოშკებისანი  
ეკლიანობა ნისლისა  
ლამაზ-ლამაზი ბალები  
გაშენებული მტრისთვისა  
უფლისთვალება კრავები  
გამეტებულნი მგლისთვისა  
ხატში მისული ლანდები  
ნატვრად ქცეული დღისთვისა.

\*\*\*

ზენაიო გამოხდულა  
რა კარგად ჩაბან გზებიო  
იიქირებ — არ არსებობენ  
ამ ქვეყნაზე მტრებიო  
ფერი ხარობს და მალლდება  
ახალ ნაპირებს სწვდებიო.

ჩამოივაკებ შეკრთები  
და ისევ დალონდებიო.

\*\*\*

ვისაც მამული არ სტკივა  
და თავისთვისა ხელაობს  
არ ელირსება სივრცეში  
არწივთან ერთად ფრენაო  
არც მანათობელ ხმასავით  
გულიდან გულში დენაო.

კარგი ყმა (ურომლისოდაც  
სიცივეა და ბნელაო)  
ღმერთმა სიკვდილით დალოცა  
სიცოცხლე გაუგრძელაო  
სამოთხის ამერ-იმერი  
სხვაგარად დაუმმენაო.

\*\*\*

ღრუბელი პორიზონტან  
ისე ახლოსაა —  
მგზავრი  
ნელში მოხრილი გაივლის.

\*\*\*

მდინარეები ჭის წყალს შენატრიან —  
მინის უბეში გვალვა და ქარიშხალი  
ვერ შეხებაო...

\*\*\*

მაღლიდან დანახული სოფელი  
წაგანა საჭადრაკო დაფას —  
ორიოდე ფიგურა რომ შემორჩენია.

\*\*\*

სახლზე ნისლის  
გადავლა იგრძნო  
და გამოერვიძა.

\*\*\*

კითხვის ნიშანი —  
სიმძიმისგან აყირავებული  
და ყულფად ქცეული.

\*\*\*

ქალიდან კაცი გამოვიდა  
კაციდან — ქალი  
და ნავიდნენ სხვადასხვა მხარეს.

\*\*\*

პოეტი ქალაქში  
ვით ფუტკარი  
ობობას ქსელში.

\*\*\*

ხმებმა — ვერა  
ექოებმა იცნეს ერთმანეთი  
შორეულ სიჩუმეში.

\*\*\*

ისეთი ლამაზია —  
ვერც უსამაკაულობას შეამჩნევ  
და ვერც სამკაულებას.

\*\*\*  
სიყვარულისაგან ისეა დღეები —  
გემის შემოსვლისას ტალღებზე  
ნავები რომ აქანავდებიან.

\*\*\*  
ტაძრის კედელში ჩავატანე  
ქვა —  
ჩემთვის ნასროლი...

\*\*\*  
მხოლოდ მაგიდასთან არიან ერთად  
და ერთმანეთის მხრებგადამა  
გაურბით თვალები...

\*\*\*  
სიმღერა —  
თბილი და სევდიანი  
ვენახიდან ამდგარი ნისლივით.

\*\*\*  
შენი ტელეფონის ნომერი —  
ექვსი მარგალიტი  
ერთ ძაფზე ასხმული.

\*\*\*  
ჩემი კოცნა — სამოთხის ფუტკარი  
ბიბილოდან  
საყელოში ჩაცოცებული...

\*\*\*  
ორი ნათლია მყავს —  
სევდა და სიხარული.

\*\*\*  
სიზმრიდან შენი დუმილი გამომყვა  
და როგორც სამოთხის მელოდია  
მოისმის გულიდან...

\*\*\*  
ღიმილმა ღიმილი წაიყვანა  
სიტყვამ  
სიტყვას აკოცა თვალებში.

**ქალი**  
ბერიკაცი თვალებში უყურებს  
შუა ხნისა — მკერდზე  
ყანანიდი — წელს ქვემოთ.

\*\*\*  
კონვერტი სანაგვეში —  
სადღაც  
სიყვარული მომკვდარა.

\*\*\*  
და თვალწინ დაუდგა  
იმ ქვეყნაში  
დედა როგორ დაიტირებდა  
და აღარ მოიკლა თავი.

\*\*\*  
როცა გულს უხარია  
და გონება დალონებულია  
მაშინ ისადება ღილინი.

\*\*\*  
ზოგჯერ სიყვარული  
ნააგვს მელოდიას  
რომელიც თანდათან  
შორიდან მოისმის.

\*\*\*  
ისე დაბატარავდა ზვავი —  
სიმწვანეში წამონალილი  
ბატკანი გეგონება...

\*\*\*  
ნუ დაემდურები მდინარეს —  
ხილი წაგართვა  
და არა წაპირები...

\*\*\*  
საათი იბიბას ემსგავსება  
მაჯაზე ჩაფრენილს  
როცა სადღაც არ მიგიხარია.

\*\*\*  
ფანჯარა ჩაიმსხვრა  
კარი გაფერმურთალდა  
ბზარმა გაირბინა ლიბოში.

\*\*\*  
ხელკავი —  
გახსენება ანკესის.

\*\*\*  
თავი შეიკავა დადუმდა  
და უფრო ხმამალდა  
ატირდა გულში...

\*\*\*  
სიცოცხლებ და სიკვდილმა  
ერთად შეადგინეს  
პოეტის რჩეული...

\*\*\*  
სიტყვამ გული შეათამაშა  
ვით ტალღი  
მდინარეზე დახრილი ყვავილი.

\*\*\*  
კაცი შემოვიდა  
ქალმა საქსოვი მოიმარჯვა  
და შუბლი შეიკრა.

\*\*\*  
ბეღურამ ფრთები ერთმანეთთან  
მიაცურა გულის სიახლოვეს  
და თვალწინ დამიდგა  
დედა როგორ იხვევდა შალს.

\*\*\*  
სიზმარში გნახა —  
მდინარეს მიჰქონდი  
და ცხადში გამოვარდა საშველად.

\*\*\*  
მზის ჩასვლისას  
ღრუბელს შავი  
ჭაღარა გაუჩინდა.

\*\*\*  
ქალის მკერდი  
მონატრებითაა დანალმული  
ერთი შეხება და ცას შეეფრქვევი.

\*\*\*  
დედის აჩრდილმა გაუსწორა  
ბალიში —  
მეუღლისგან მრუდედ დადებული.

\*\*\*  
განხედა  
და გამოიხედა გულმა  
და ფიქრი ეტკინა —  
ყველა რაღაცას უყურებდა  
ერთმანეთს — არავინ.

\*\*\*  
ან ის ხოჭო სადაა ახლა  
გუშინ ჩემთან ერთად  
რომ გავიდა ლიფტიდან გარეთ.

\*\*\*  
ცა ვარსკევლავებიანი  
ვით შეყვარებული  
გულების საფიხვნო.

\*\*\*  
ჯერ შვილის პერანგი ჩამოხსნა  
მერე — ქმრის ხალათი  
და ბოლოს — საკუთარი კაბა.

\*\*\*  
როგორც კი ჩრდილზე  
დაჯდომას დააპირებ  
მაშინვე ზემოდან მოგექცევა.

\*\*\*  
მანისძვრამ  
წუთით შეარიგა  
ცოლი და ქმარი.

\*\*\*  
მინდორზე  
სიცხის ჭინკების ურიამული  
და წყარო — ჩაწეულ ლამპასავით.

\*\*\*  
ფუვედონიმს ამოფარებული  
ვით საფარს მონადირე.

\*\*\*  
ქალი —  
წყაროსთან ამოსული  
ყვავილის ხასიათით.

\*\*\*  
სამოთხის ცაზე  
გადავლისას  
კვერცა შემოესმა  
და შეკრთა მზე.

\*\*\*  
ისეთი მგზავრია —  
ღრუბელი დაუცდის  
და ჩრდილით გაათბობს.

\*\*\*  
მზე და ობობა ზოგჯერ ქსელში  
ერთადა ჩანან  
და ღმერთს ელიმება...

\*\*\*  
„უყვარსარ“ —  
გაგიცინა კულულმა  
და გაუჩინარდა თმაში.

\*\*\*  
მარცხენას ენატრება მარჯვენა  
რომელიც მოწყენილი მტრედივით  
იყურება თაბაშირის სარკმლიდან.

\*\*\*  
სინათლეს ტყვიისგან მოწყვეტილი  
თვითონ  
ყვავილოვან ბალაბში ჩავარდა  
ხოლო მისი ჩრდილი —  
ბუდეში ბარტყებთან...

\*\*\*  
თოვლი და ვარსკევლავები  
ერთად ანათებენ ქვეყანას  
მშვიდად მიცურავენ ჩრდილები.

\*\*\*  
სამოთხის დაკარგვაზე მეტად  
ევა და ადამი  
იმასა დარდობენ  
რომ ბავშვობა  
არ გამოუვლიათ...









მარიამ წიკლაური

სახლიწყვეტილი

სახლინმიდა ცეცხლის სახით არ გადოსულა —  
მტვრის უჭქნობი ყვავილებით მომეფინა  
მარადისობად.  
ვაშენე მისი დიდი ტაძარი,  
ვასე სინმინდით:  
ჩვილის დორბლით,  
ტილოს კვართით,  
ქვაბის ბარძიმით,  
ზენრის დაფარწით,  
სიმწრის თაფლით,  
ძლევის კვერებით.  
ლიბოს ოდიკს დავაყრდენი ცა,  
რომ ჩათვლემილს წამეკითხა სასწაულები.  
სიზმრის ჩითილებს,  
ცხადის ყანებს,  
მღვიძარების ზვრებს  
თუ ოცნების სკებს, —  
ყველაფერს ვტევდი კედლებს შორის,  
თავისუფლების და ომის გარდა.  
ქალალდისგან ვჭრიდი სამშობლოს  
და ცეცხლში ვწვავდი,  
რომ მასზე დიდი ჭეშმარიტების მარხვა მესწავლა,  
მაგრამ ამაოდ! რაც მეტს ვწვავდი, უფრო მკვეთრად  
მედებოდა სამშობლოსფერი  
და სინაულიც გარჯად ვაქციე,  
რომ შვილებიც ამ სამშობლოს დამგვანებოდნენ.  
ბაბუანერებს სულს ვუბერავდი,  
როდესაც მსურდა, დროშებისათვის  
ქარიშხლებად ვქცეულიყავი  
როცა გმირებს კვეთებულით ერეკებოდნენ  
თავიანთი გმირობიდანვე

სადაც, დროსავით, რძის სურნელიც ინახება  
სახლინმიდის სანანილეში.  
ჩევენ მრნამსი ერთგულების მელნით სწერია  
ძველ პალიმფსესტზე,  
ასიათასჯერ გადაწერილი  
სიყვარულის და მსახურების რჯულისკანონი.  
ტაძრის ობობებს ულპოველი ნერწყვით გამოჰყავთ  
ამ ანბანის მოხაზულობა.  
და რაც უნდა შალო და ფერთხო, ჯიუტად წერენ  
სიმყუდროვის სულთათანას ოჯახისათვის  
ბებიების ნაქონ კუთხეში.  
ხსოვნის ნაფრთალის აყრიან თითქოს აქაურობას,  
რკილი არ სცვივა.  
თუ დასცვივდება, ვარსკვლავივით,  
ისევ იმავე ბენდინერებას ჩავუთქვამთ მაინც —  
სიძველის სურნელს სულაც არ ვჩივით.  
უამრავ წიგნში ჩაკეცილი გვქონდა ცხოვრება  
და სულ იქ ვშლიდთ,  
სადაც ხმელი ყვავილივით იდო წყალობა.  
ახლა მათ ველით, ვისაც ჯერ კიდევ  
საკუთარი თავიც კი არ უნახავთ ღმერთში,  
ვინც მირონივით უნდა დაგვდინდეს,  
ვინც ბევრს ტირის,  
თუ გაულოკეს მათი კუთვნილი ბენდინერება.  
ვინც მუცლის მღვიმეს შეფარებული თავისთავსა ზრდის!  
და ვინც მვილებს მშობლებად გვიცევს!  
ყველაზე დიდი მოქცევაა ახლა ტაძარში,  
სახლინმიდა ხმაურობს და  
ჩაიდანის შიშინსა და გულის ბაგუნში  
ისე ირევა მისი ხმები,  
გეგონება, იშლება ყველა შროშანი მისაგებებლად,  
გეგონება, თავიდა ქმნის ღმერთი სამყაროს და  
ჯერ არ იცის, სად დავინიჩით...

၁၂

გალაკტიონს

მთვარეს — სიბნელის ნათელ შვერილ  
შენი რამდენი მზერა შვენის,  
მარადისობის გადამრჩენი,  
ადამიანო, ნეტავ?

ამაოცების განჩინებას  
თავისუფალ სულს აჯიბრებდი,  
ხან — ანგელოზსაც აშინებდი  
ქაოსის მრნემი მონმე.

ვერ იქარვებდი სივრცის სურვილს  
და ორთავ მხარის იდექ ზღურბლთან,  
ის, რაც გაგაჩნდა, არვის შურდა —  
არარსებობის ტანჯვა.

მხედარი მზის და ცალადმყოფი,  
განმექვრევისა და წარმავლობის  
როგორ ებრძოდი ძალადობას —  
„ზმანებამტკიცან“ სულით!

აღდგომისფერი მწიფე ენდრო  
სოფელს უხუნარ ფერად ედო.  
მარადისობით გული გეძლო,  
ხომ ეს უნდოდა უფალს?!

ქორწილში ღვინო გაგეჩინა,  
ვით მეცხრე კარის განაჩენი —  
ტანჯვის მაცხოვრის გადამრჩენო  
უანგელოსო უამში.

ყველა კანონთა სამართალის  
რღვევა — ახალთა გამართლებად,  
სიტყვები — ბედის კამათლები  
გილაგდებოდა ხელში.

სამშობლო გცდიდა თავის ცოდვილს,  
ჰაერისა და ცეცხლის მეოდეველს,  
წყლის და ლაჟვარდის მონაქობი —  
სკნელთა ორპირი გედგა.

მარილის სიტკბო ჰექონდა ლოცვებს,  
ზმანების სიტყვის ბახს და მოცარტს,  
სურო-სულს — სხივზე გსურდა ცოცკ

ზეცის კედელზე მაღლა.  
სამყარო კვართად მოისარება —  
ნამების უამი მოისაგრე,  
საიდუმლოთა მოიგავემ,  
„სამუდამო მხრის“ ხილვით.  
უსმენდი ქვეყნის უხმო მოთქმას,  
როგორც ურუქის ბრძენი მოგვი —  
ღმერთის პასუხზე ყურის მოკვრას  
ელოდი დიდხანს, მაინც.  
შენც რჯული ცეცხლით დაგენერა.  
შენც იქცე კერის მზიან ძელად.  
სვე-საიდუმლო ენის მცველო,  
თამამი იყავ ღმერთთან!  
ქარით და თექშით ლურჯადმდვრიე,  
ჰაერი ისე ჩაამსხვრიე,  
მწიფე ზეცას რომ დაარხევენ —  
ტკბილი მტევნების მაღლარს.  
და ნისლეულთა დარანებში  
ნიუით დანამულ მონანების —  
ფასკუნჯი ფრთებით შეგიმშრალებს —  
უსასრულობას, ვიცი.  
ყველა მხრის ქარის ენას ფლობდი,  
დიდების ურულას ხერვით გრძნობდი,  
როგორ გინდოდა სამშობლოში,  
როგორ გინდოდა სამშობლოში,  
ადამიანად ყოფნა!

## სევისი სიპრენტი არ იცხოვრება

თუ მოგეჩენოთ, ჭეუას გარიგებთ,  
ჩათვალეთ, რომ დავტერებულვარ  
და შემიტრალეთ —  
ასე წერია ურუქის ერთ ნაბზარ კედელზე.  
არ იკითხება სრულად, მაგრამ გრძელდება მერე:  
იმუსაიფეთ ერთმანეთში,  
ყურს ნუ დამიგდებთ,  
ასე ბევრად ბუნებრივია.  
ადამიანებს კიდეც შვენით,  
ადამიანურ საქციელით თუ ირჯებან:  
კედელს აგებენ, მსხვერპლს სწირავენ, არხები გაჰყავთ,  
ქურუმების ეშინიათ, ოქროს იხვეჭენ.  
სიყვარულისგან მრავლდებიან,  
ანგელოზებზე აძიძავებენ შვილებს და  
ღმერთებს არაფერზე სთხოვენ პასუხს თავის თავივით.  
მზად აქვთ ომისთვის ყიუინა და შეძახილები,  
სიკვდილიც მზად აქვთ.  
და სიკვდილს იქით საბოსტნეებიც აქვთ მოღობილი.  
ასე სწერია იმ კედელზე:  
ღვთის სუნთქვას თუ გრძნობ, ემზადეო,  
ბედასწერა ღვთის მახვილია! — ასე სწერია!  
მაგრამ ჯერ აქ ვართ.  
აქ ვეშაგვით უნდა ვიფხიზლოთ,  
იქაურობა რომ არ დავკარგოთ.  
ძინიც ღია უნდა გვეკონდეს, ღვიძილიც — ღია,  
გულიც — ღია, სახლი — არასდროს!  
იფიქრონ სხვებმა, რომ მღვიმეებში  
განდეგილობის ფერად ბუშტებს  
ვძერავთ იმათი ზეიმების მოსართავებად.  
ჩვენ არასოდეს ვიყოთ სტუმრები:  
სტუმარზე დიდი უმაქნისი არავინაა.  
მასპინძლობა სჯობს:  
ძელი კარი თუ იჭრიალებს,  
მსახურების მორჩილი ღვინო ვასხათ ანჯამებს.  
მარილივით უნდა ვიყოთ — ცოტაც ვკმაროდეთ,  
გემო არაფერს ჰქონდეს უჩვენოდ,  
ყინულს ვადნობდეთ, ხრნნას ვანელებდეთ...  
სულ დაგვეძებდნენ და ვერავინ იხსენებდეს,  
საიდანა ვართ:  
ზღვიდან, ცრემლიდან, მიწიდან, ციდან?  
ნუ მოვხიბლავთ ნურავის ქვეყნად,  
ნუ გაგხებით პერვანგვდილი მათხოვრები ჩვენივე თავის.  
თაყვანისცემა დიდ სასჯელად გვექცევა მერე,  
როცა პავშვი უნებურად გაირჩენს ახლოს  
და ფეხს გაკრავს ჩვენ სიდიდეს —  
ტაბურეტივით გამოჩირკნილ სცენის ფიცარნაგს  
და როცა ყულფიც სულ კისერზე გაქვს,  
უნდა ვიფრთხილოთ:  
ბავშვები ასე მოურიდებლად დარბიან ხოლმე.

მათ არც გვამების ჩამოხსნა ძალუქთ,  
არც სიბრალული.  
დღიდო-დღიდო, სიბერისას გაგიხსენონ  
და დაგარქვან სულ სხვა სახელი,  
საკუთარი თავიც ვერ ვიცნოთ იმათ სიზმრებში.  
ნუ ვიქნებით ხიბლისათვის  
მსახურებისთვის მოსული ჯიში.  
და რაც უნდა იდუმალს და  
ლვთაებრივს და  
მარადიულს შევეპოტინოთ,  
სინათლის ეტლებს ავემგზავროთ,  
კამპამა ჭავლებს, ცისიერებს, თვალი ვუსწოროთ,  
მივაყურადოთ სინყვდიდის ჩვილობის „აღუს“,  
სინათლის თეთრ წვერს შევაფაროთ სიყრმეც, სიბრიყვეც,  
არაფერია იმასთან, რასაც  
ადამიანად ყოფნა ჰქვია —  
მსახურების რელიგია — სხვისთვის ცხონება!  
აი, მისი ნეტარებანი:  
აცხვე პური, რეცხე საცვლები, აშენე სახლი,  
ჩირქიანი წყლულები ბანე კეთროვანებს,  
სიგიჟე აცხრე, თაფლი აგროვე, ზარდე შვილები,  
კოდე ქვები — საღლი კლდეების —  
სამშობლოების დიდი კალთიდან  
გადმოფერთხილი ფინჩხებივით დაულეველი,

უთვალავ ჩიტებს რომ იპატიურებს  
შენი შუბლის სიმშვიდეში შემოყუფულებს.  
დე, აქ იზამთრონ ანგელოზთა მზის ამოსგლამდე,  
ჩევენ კი ეგებ გავიხსენოთ,  
ბედნიერების სიცხეები როცა გვიწევდნენ,  
რას გვასმევდა სოფლის მკურნალი.  
ნურც უფლის ახსინო წუ მოცცდებით,  
ნურც დროს მოვიჩვევთ,  
ის ყველაზე საშიშია სტუმართა შორის.  
ჩევიწევ თავი ავხსნათ ეგებ,  
თავისუფლების დოდ პალოზე მიბმული რომ  
ცოხნის საკუთარ ადამიანად ყოფნის სიბრძნეს  
და არ ბებრდება.  
თუ მოგეჩვენოთ, ჭკუას გარიგებთ,  
ჩათვალეთ, რომ დაებერებულვარ  
და შემიბრალეთ —  
ასე წერის ურუქის ერთ ნაბზარ კედელზე.  
არ იკითხება სრულად, მაგრამ გრძელდება მერე:  
იმუსაიფეთ ერთმანეთში,  
ყურს ზუ დამიგდებთ,  
ასე ბევრად ბუნებრივია:  
თავის თავს ცოცხლობს კაცი ამქვეყნად,  
სხვისი სიბრძნე არ იცხოვრება.

### შიროსკენ მიღის ღრუბელი

ბორბალის, კალმახივითა,  
ნისლის კოტორი აყრია.  
ჭირისკენ მიდის ღრუბელი,  
თეთრად დის,  
თეთრი დარდი აქვს.  
მიდის და მიიღობლება,  
მზე არის მაგის დედილა,  
ხან ქრება, ხანაც მკვრივდება,  
ერთდროს ღვთისკარზეც დენილა.  
ეგ უფლის სანაწილეა —  
შიგ უდევს ცვარი დილისა,  
ზოგჯერ დადგება სოფელზე,  
დარდს ჩამონამავს,  
ტირისა...  
ხან გაიყოლებს ცის გზაზე  
ჩევენი ფიქრების კავებსაც,  
ხან მთას შემოჰვევს, მერმისად  
ჩევენ მოსახვეველ მკლავებსა...  
ბორბალის, კალმახივითა,  
ნისლის კოტორი აყრია.  
ჭირისკენ მიდის ღრუბელი,  
თეთრად დის,  
თეთრი დარდი აქვს.  
უნდა — მთასწევერებს დანისლავს,  
უნდა — იქცევა ნამადა.  
ღმერთო, მეც ეგრე მაქციე  
მარადისობის ნამადა.

### ვალავ ყვავილს

ნითელ მულეტს აფრიალებს  
შემოდგომა — ჩემი სარკე.  
ტორავ მინას, ჰაერს ყნოსავს  
ხარი, ჰაერს ყნოსავს სარქეს.  
ბრძოლს დროა! ხეებს ტანზე  
აუსხიათ მზის აბჯრები.  
დგას ლაშქარი, ცეცხლისფერი.  
სხივი ადგას გამარჯვების.  
ამ ქარვისფერ მოვის ჰერანგს  
და სინათლეს ათასფეროდ  
უტოვებენ სკნელებს სსორნად  
მწვანე სიზმრის ასახდენად.  
და მეც, ახლა, ამ ნაძვივით,  
ერთგულებით დალილს, მინდა,  
განმიახლდეს ოქროვანი  
გაზაფხულის დღეთა მირქმა.  
ყვითელ ფოთლის სინედლეში  
იდგეს წვენი, ღვინოსავით,  
და სიცოცხლის გაღვიძებას  
ამ სინათლით ვიმოსავდეთ.  
ტორავ მინას, ჰაერს ყნოსავს  
ხარი, ჰაერს ყნოსავს სარქეს.  
დრო სივრცეთა კარის ჭვირში  
ნათელ სევდის სხივებს არგებს.  
ტერაკოტი, თრიმლისფერი  
ტყიდან დასდის ზაფხულს სისხლად,  
ოქროსფერი ცისარტყელა  
სხივს აგროვებს მისხალ-მისხალ,  
რომ კალთები დაიბერტყოს  
შინდისფერი, ბისფერი...  
სიკვდილი რომ შეაშინოს,  
ცეცხლისფერად მიიმდერის.  
ნითელ მულეტს აფრიალებს  
შემოდგომა — ჩემი სარკე.  
ხმელ ფოთლებში მაღავს ყვავილს,  
გაზაფხულის ფერად სამკელს...

### დღევა

უდაბნოს სული ვარ —  
სხივებით მსხმიარე,  
ნაულერი მდუმარების ხელით.  
ქვიმან ბორცვებზე ქარი კი არ ზუის,  
ჩემში უშენობას მდერის.  
დღემდე მარჩევია  
უნამოდ მომთვარული  
უფლის ნაბიჯების ჩეამი.

მოდი, ყური უგდე, ეგება გაიგო,  
სანამ გაფანტავდეს ქარი.  
მე მზეს შევეფიცე,  
არ ვტებ „ცეცხლის აღთქმას“,  
მტვრის ფრთებით ვსწავლობ ფრენას  
სიზმრების გადალმაც ვისწავლე გახედვა,  
ცაბადის არაფერი მჯერა.  
ეს ჩემი გვალვაა —  
ჩემი სიმწუხარე.  
ვის უკვირს აქ ქვიშის ალხი?  
ცათაგადაღელო ცვარო, უწვიმარო,  
დაბადებამდეც რომ მახლდი.  
ყველა გზა,  
ყველა ჩეამს,  
ყველა ქარს გინახავ,  
შემში გახმიანდეს მინდა,  
ისევ ლამაზად, მიმზუხრს რომ უხდება  
მზის ჩასვლა მენამულ რინდად.  
მნიფარებს უდაბნო — დრო ჩემში ჩაგუბდა  
აქ მოვინაყოფე უამი.  
ამ უსსარულობის ბალებში შემოდი,  
ათასლებს უსწორე წამი.  
აქ გულიც შლილია — სივრცეთა ნადიმებს  
ესწრება დრო — ღმერთის კილა,  
შემოდი, სიჩუმის ხმა ნუ შეგაშინებს.  
აქ სიკვდილს სიცოცხლე სტკივა.  
ამ ღვთიურ მირაჟებს ხსოვნათა ნათრთოლით  
არ მოეძებნება ტოლი,  
აქ მზეა წვიმაც და აქ მზეა ქარიც და  
აქ მზეა მზისცერი თოვლიც.  
ამ სიყდაბნოვეს — ჩემს გულში ჩატეულს —  
უფელეს და უცნობ წყევლას,  
როგორ ენატრება,  
შენი სიყვარულით ყველა სიყვარულის ძლევა.

### არაფერია მზის ქვეშ ახალი

არაფერია მზის ქვეშ ახალი,  
ამ მთების იქით ისევ მთებია.  
დღის იქით დღეა, უფრო მაღალი.  
და ღამეებიც მათზე დგებიან,  
გადაიხედონ, უნდათ ღმერთიდან.

რას აღარ ცდილობს ქვები, ჰაერი,  
მზეს და წყალს დიდი გარჯა ეტყობათ,  
რომ შემაჩვიონ წესრიგს, დათაებრივს,  
რომ გაამართლონ თავის დედობა,  
როცა თავს ვეებ და ვჭირვეულობ.

ტანზე მახვევენ ტყეთა სიმწვანეს,  
მზერას და სმენას მინვრთნიან ქარით,  
ზეცის სილურჯეც ჩემთავის ინამეს,  
კლდეთა სიმძიმეც ხომ ზიდეს მხარით,  
რომ გავზრდილიყავ მათივე ჯიშის.

რომ მევლო უფრო მხნედ და იოლად,  
დააჭუციაცეს დრო უთვლელ წამად,  
სულ მომავალი უამი მშიოდა,  
სულ ხვალინდელი დღის მსურდა ძალა,  
რადგან მეგონა, წინ უნდა მევლო.

გადამავინყდა ასე ნელ-ნელა  
ნამის ფასი და დგომის სიმყარე,  
და გასაფრენი ფრთების ნაკრტენზე  
დღევანდელობის ზიზლი ვიყარე,  
და საკუთარი დრო ვერ ვიგუშე.

ჰოდა, ათასი დავქოქე ძრავა,  
ათი ათასი ლილაკი ჩაგროთე,  
და აღარც ვუცდი დღეების გასვლას,  
გადატყირთვის მზეს და მთვარეს ვანთებ,  
როცა მეტი მსურს აქ გათენება.



ნარმოსახვით ზღვებს ვაგუბებ ყუთში,  
და მიქცევებსაც თავად ვკარნახობ,  
გამოგონილი სიხშირით ვუთული  
სივრცეს მაჯას და ძალას, არნახულს,  
რომ უკეთესი ვპოვო სამყოფი.

თანამგზარების მფრინავ ობობებს  
ლუკამდ მიუუგდე ჭრელი მინდვრები,  
სადაც ზემიარი, ბატკნებთან ერთად  
უფლის ლანდის ქვეშ მშვიდად ვიდექით,  
როცა ველოდით მერვე დღეს ქვეყნად.

სადაც გვიყვარდა და ცეცხლის ალით  
ვაფრთხობდით ქაჯებს — დამის დარაჯებს.  
წუთები იყო ისე ხანგრძლივი,  
ჰგავდა მისჯილი ტებობის განაჩენს  
და არარსებულ ბედნიერებას.

ახლა კი მივქრით, საით ნეტავი?  
რა გვსურს მოვასნროთ ჩვენს თავზე მეტი?  
და როცა უფალს ვუხმობთ, ვეძახით,  
სადაც ვგონივართ, იქ აღარ ვხვდებით,  
და შეოთავს ისიც ჩვენს აჩქარებას.

ნინ, ნინ, ნინ ნინ და ვერ ვიღირსეთ  
ადგილზე დგომის და ტებობის მადლი.  
ან ეს სიგიურ რად გვსურს, გვიღირდეს  
ბედნიერებს უფსკრულში ვარდნად?  
საით გავრბივართ, რად ავიძარით?

ბებერ ტყეებში ქსოვს ბაბაჭუა  
მილონწლისნინ დაწყებულ ბადეს,  
რომ პეტლის მოდგმა გააბას შიგ და  
უფრო მაძღარი და მშეიდი ჩანდეს  
და მოიცალოს არსებობისთვის.

მიღის მდინარეც და ტანში უდგას  
სიცოცხლე — ლოდეცე ჭრელი ლიფსიტა,  
მინა კი თავის წიაღს ალაგებს

და აკრისტალებს ჟამებს ბივრიტად  
და დადინჯებით აკეთებს საქმეს.

ასე დავუშვი შეცდომა ნინსვლის  
და სხარვის უინი ვერ მოვადუნე  
ამ მთების იქით ისევ მთებია  
და შენს იქითაც შენვე ხარ თურმე.  
ერიდე შენსაც თავთან შეხვედრას.

ეგებ შეჩერდე... ადგილზე დგომის  
უფლებაც უნდა მიიღო ერთხელ.  
თავს გაუჩერდი, თუ მართლა გინდა,  
ბედნიერებას ღმერთივით შეხვდე.  
დადექი, კაცო!  
დადექი და თავს შეეყუდე...

### უჩვეობა ტარიელ ხარხელაურს

ჩემო ძმაო და ძმისფერო,  
ჩემივე სისხლის მტევანო,  
ხო კარგად გვესმის, ქარები  
მთის ნევერზე რასა მღერანო?

ნიავ ნისლის ნაქადგარებს  
ძველ სოფლებს თუ დაექებენ,  
ნენავენ უამის საფარველს.

კაცის გული რას მისწვდება  
იმათ ფიქრსა და ჯავარსა:  
ვაი, დაცლილი სათემოვ,  
შენ წილ ვინ სადა დაგალსა?

მზეც მზეობს, წყარონიც დიან,  
დროშასაც ცვარაც ცისნამი,  
არნივიცა ზრდის მართვეებს,  
ერდის ვერ ჩასცერს მზისთვალი.

საჯიხვეც ისევ იქაა,  
მარტო ყორნები ტირიან:  
დიდიხინია, კაიყმით  
გული არ მოგვიპირნია.

პირიმზეც იმასვე ჰყვავის,  
რასაც ჰყვაოდა უამსუკაა —  
ორთაც სოფლისთვის ანათებს  
ნისლის კოტორის ნაქალარი.

ქარიც ქრის... ქარსაც კი უკვირს,  
კაცს სიტყვა რომ ვერ აშინებ

ნაყოფის ხელმომტკირნედ გამეტებას მხოლოდ მინას ვერ დააპრალებდი: დღე-ბი იყო პირქუში – აქ, ამ კუთხეში მზე დიდხანს ვერ სძლებდა – მცირე უამით შემობრიალდებოდა, ყოველ კუთხე-ეუნჭულს მადლიან სხივს მოჰყენდა და დასაძინებლად გარბოდა, იქ ამოუსვებდა ხერინვას. ისე იქცეოდა, თითქოს ვიღაცას დაუტატანებია „ასე მომწვდა, ბაბნავსა და მის გარეშემო სოფლებში, მუხლი მოგირთხამს, ხეგხუვებიც კი გაგიბრნებია!“ მზე იმ ვიღაცას თავდახრილი უსმენდა, მაგრამ სოფლის კაცების თხოვნა-მუდარას, მადლიან სიმძლერას, თუ დავალებას „იმ კუთხეშიც შემოიხედე, ეს კუთხე არ დაგვეჩრდილოს“-ო, ანგარიშს უწევდა, ამიტომაც შემოირბენდა ხოლმე.

კაცები მინას იმდენს ეჯახირებოდნენ, მეზობლისადმი ავადმზრალობა, მტრობა მათში ადგილს ვერ ჰპოვებდა. საამისო დრო აღარ ჰქონდათ. რა დაგიმალოთ და, აღარც – ძალა: რთველს რომ მორჩებოდნენ, სანამ მინა თოვლს საბანივით წაიფარებდა, მას დასტრიალებდნენ თავს. თუ არ მოუარე, თუ არ მიხედე, სულაც ზურგს გაქერვს, გაგებუტებაო.

თუ მინა ესოდენ ხელმოჭრილი, ძუნი იყო, თუ მინა ძლიერ არ სწყალობდათ, ისე-თი მდინარე ჩამოუდიოდათ, ზოგი დედას, ზოგი ძმობილს, ზოგიც – გულ-ღვიძლს (უფრო მეტად მთვრალობისას) ეძახდა. მთინარეს იმდენნაირი თევზი მოპყვებოლა,

ან, მიეკალერსონ, გულთან მიიკრახო.  
მდინარეს განიერს ვერ ეტყოდი, ერთი  
დღენახევრის სახნავ-სათესი მინდვრის  
სიგანისა თუ იქნებოდა. გაზაფხულიდან  
რთველის ჩამდითვრებამდე, მერეც - როცა  
ღრუბელი უფრო ხშირად სტუმრობდათ,  
ვიდრე მზე, დღე არ გაშორეროდა,  
მდინარეს არ მიალერსებოდნენ. თუმცადა,  
ისე ჩქარა, სულმოუთქმელად მორბოდა,  
ისე მოდგაფუნიობდა, თითქოს მგელი  
დადევნებიაო. ბიჭები მდინარეში ერთი  
ურიაშულით, ყვილ-ხივილით შეტყაბუნ-  
დებოდნენ, ხანმორეულნი - აუჩქარე-  
ბლად. შიგ შევიდოდნენ თუ არა, წყლის  
ზედაპირს ხელისგულს ისე გადაუსვამდ-  
ნენ, თითქოს მდინარე შვილს ეალერსები-  
ახო.

ქალები ქვემოთ იყრიდნენ თავს, იქ, სა-  
დაც მდინარეში შემოჭრილი ბორცვი შეუ-  
ძლებელს ხდიდა დაგრენახა, ბორცვის მიღ-  
მა რა ხდებოდა. ვერავინ ვერ ხედავდა, იქ  
ქალები რას იქმოდნენ – ბანაობდნენ, ჭურ-  
ჭელს აკრიალებდნენ, თუ თავთავიანთი



## გურამ ბათიაშვილი

# სოფიალი

## ფრაგმენტი რომანიდან

სენებოდა. ერთ ლამეს კი ეზოში მაჭრის დასახელდა გამოსულს, ჭინკები და მაქსხები თავს. კარგა ხანს უუმკლავდებოდი, გადა მა ნაბირზე რომ მივყავდით, ათ ჭინკას ერთდროულად წაგუჭირე ყელში ხელი იმათაც სხვა გზა აღარ დარჩენოდათ მდინარეში მომისროლეს. მე ერთი ჭინკა მაინც გამოვიტაცე, მას მერე ვარ ცოტა სულ ცოტა შერეკილი, თორემ საამისო რა მჭირდა. აკი გითხარით, ჩემი სიპრძნის ამ ბავი მეფის კარზეც კი იცოდნენ-მეთქი. ის ჭინკა ახლაც მდინარეში მყავს დამალული, დროდადრო ვაკითხავ, ჩემს სამ შვილსა ზრდის, ამ სოფელში მაგისნაირი მზე თუნახავი ქალი სიზმარშიც არ უნახავთ ეგეც უხეოთავთ გულსა: მაგ შერეკილს ეგეც თი მზეთუნახავი უნდა ჰყავდეს, ჩვენ კი დენა ეს დაფეხვილებიო? აბა!“

არადა, მდინარის გაღმა, მანამ, სანაარ მზერა სწვდებოდა, ხედავდნენ, რომ უზარმაზარი სივრცე უკაცრიელი იყო არც ის დაუნახავს ვინმეს, ღამდამობით უსხესენებლები და მგლები როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს – ეს გადმოცემით იცოდნენ. შელამდებოდა თუ არა, ისეთი სიბრძლე ჩამონვებოდა, საკუთარ თითისაც ვერ ხედავდნენ.

სოფლის ზოგიერთი ხანმორეული დიასახლისი დილით თავისაკრული გამოდოდა, და და ამბობდა:

- ნუხელ გაღმა ნაპირზე ისეთი ომი ჰქონდათ, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხულ

ჭე, დღეს მისავათობული ვარ.  
ზოგი კი სხვა რამეს ამბობდა:  
— ირიფრავა თუ არა, რა ამბავი ატეხეს  
ჭინკებმა, მოთქმა-გოდებით გადადიოდნენ  
გაღმა ნაპირზე. ვერავინ მოიგდეს ხელო  
ვერავინ მოიტაცეს და მათი ზუზუნი  
გოდება ქარს ისე მოპქონდა, ძილი არ მო  
მეკარა. აი, რასა ვგვარ, ვაი, რა დღეში  
ვარ!

სოფელს ხმაურიანი არ ეთქმოდა, ახ როგორ, რით უნდა ეხმაურნათ – თავთავიანთი საცხოვრისიდან დილაადრიან გადიოდნენ. ყველა თავის ნიღ მინას ეჯახა ირებოდა. ყველას ის ენადა, ოჯახისათვის

აურეოლებდათ, იმას კი არა ფიქრობდნენ, დასაწური ყურძნის წელინადში ერთხელ ხელებსშუა მოქცევა უფრო საამურია, ვიდრე ყოველ ღამე ერთი და იგივე ძუძუსი. ყორძნებს დაწინარების შემთხვევა კი თასწოვა-

ხანდახან ძროხა თუ დააღებდა პირს და  
დაიბლავლებდა. იმასაც, ალბათ, მაჭრის  
მჭახე სუნი აწესებდა და ეს აბლავლებდა.  
ეს იყო და ეს. მეტი ხმა აქ არც ისმოდა.

ბინდი რომ ჩამონვებოდა, გაშლილ  
ფარდაგზე დაწვებოდნენ და რამდენი  
ყურძენიც არ უნდა ჰქონოდათ დაკრე-  
ფილი, გინა – დანურული, ან ლვინო  
დალეული, ცოლი და ქმარი იმდენ ალერსს  
იმეტებდა ერთმანეთისათვის, ამ მრუმე  
ღამეში ისეთ სიამეს ჰპოვებდნენ, გემრი-  
ელად ჩაეგინებოდათ. ცა რომ ფერს იცვ-  
ლიდა და მამალი მზის ამობრძანებასაც  
აუწყებდა ქვეყანას, ქალები ფარდაგიდან  
ცევიტად ნამოხტებოდნენ, ბალდებს ისე  
უვლიდნენ, გაღვიძებულ ქმარს ისე  
აპურებდნენ – ნურა ჯანი ნუ მოგვლე-  
ბოდეს, ნურცა სურვილი და მისი ას-  
რულების ღონეო, მიხვდებოდით, ამ ადამი-  
ანების ცხოვრებას, რაოდენ იფლ-  
დასალვრებლიც არ უნდა ყოფილიყო,  
გემოც მოსდევდა.

ჭირში ერთად დგომა ხომ წესად ჰქონდათ. ესეც გასაჭიროა ასწავლათ – თავად უმაღლ მზად იყვნენ მეზობლებს მიშველებოდნენ, მაგრამ სიძორის გამო, თითქმის ვერ ახერხებდნენ. თუ ამ სოფელს მტერი მოუხტებოდა, თავად უმკლავდებოდნენ – სანამ მეზობლები მოეშველებოდნენ, პირველი უკვე გაღმა იყვნენ გასულნი. პირველი თელთა ხშირმა თავდასხმებმა ბაბნაველები, დიდიც და პატარაც, გააყიჩალა და მთელ ქართლში გაუთქვა სახელი. ქართლის დაბა-სოფლებში ბაბნაველ ბიჭებს ხშირად ახსენებდნენ. ეგენი „ვერ მოგართვით“ ბიჭები არიანო, ეს კი იმას ნიშნავდა, მაგ ბიჭებთან უბრალოდ არაფერი გამოგივათ, ერთობ ყოჩალები გახლავანო.

ერთხელ, ეს ამპავი მანაბ მოხდა, სანაც  
ტაოსის ძროხა ორ ხბოს ერთდღოულად  
მოიგებდა, პირველი ისინი ჩრდილ-  
ოეთით, მთებში სახლობდნენ – კუთხის  
ყმანვილები და ქალები კიდევ ერთხელ  
გაუტაცნიათ. მთავარ ნოეს – სპასთან ერ-  
თად ჩამოუკლია: ვისაც ტყვეთა გან-  
თავისუფლება მტერთან ბრძოლით გწადი-  
ათ, მომყევითო. ამ სოფლიდან ბარე ირ-  
მოცი ყმანვილი უმალვე გადგომია გზას.  
რა შეუტყვიათ, მთავარი ნოე გვპა-  
ტრონის, მთავარი მიგვიძლვის ბრძოლა-  
შიო, ჭალარაშერეულნიც ვერ დაუკავები-  
ათ, შინ აღარავინ დარჩენილა. მთავრის  
ნინამძღოლობით პირველი დიდალი  
ხალხი მისდევდა, მაგრამ მომზღურის გა-  
ნადგურების შემდეგ, ყველა ამ სოფლის  
უბადლო ვაჟავაცზე – თანოზე ალაპარაკ-  
და: ისე უბრძოლნა, იმდენი პირველი დაუნარცხებია მინაზე, შუბით იმდენი მო-  
მხვდურის გულ-მკერდი შეუზნერევია, ყვე-  
ლა კითხულობდა: სად დაიბადა, ან შუბის  
ეგრე მარჯვედ ქნევა სად ისნავლაო. მთა-  
ვარს უთქვამს, მაგ – ბაბნავიდან – ისეთი  
ბიჭები გამოსულან, განა მხოლოდ სოფე-  
ლი, გინა ეს კუთხე, მთელი ქართლი უსახ-  
ელებიათ. ნუთუ, არა გსმენიათ, ნუთუ პა-  
პებს, არ უამბინათ: რაც ფარნავაზმა აზო  
დასჯაბნა და ტახტი დაისაკუთრა, სხვას  
არავის იკარებდა, მხოლოდ მაგ სოფლის  
ბიჭებს იახლებდაო. ამ ამბავს ხალხი თაო-  
ბორი დაუსახოს ასაკის მით.

ბიდას თაობას გადასცემდა.  
მაგრამ ეს ადრე იყო. ახლა ქართლში  
სხვანი მეფობდნენ, აზო აღარ ახსოვდათ,  
ფარნავაზზე კი იმას ამბობდნენ ეგა,  
ვერნენ, პაპაჩვენის პაპის პაპის ზებისას

ნოე-მთავარი ლაშქრობიდან კარგ  
გუნებაზე ბრუნდებოდა – გატაცებული  
ქალ-ვაჟი უკლებლივ და საღ-სალამათი  
მოჰყვადა შინ. პირყვითელნი ისე დავლენე,  
ბარე ათ წელინადს წელში ვერ გაიმართე-  
ბიან, ვერაფერს გაბედავენ, ქალ-ვაჟიც  
მშენდად იგრძნებენ თავს და მხვნელ-მთეს-  
ველნიცო. სალამონ ხანი რომ ჩამომდგარა,  
მთავარიცა და მისი მამაცნიცე ერთ სოფელ-  
ში შეჩერებულან. იქ ცურობა და ცეკვა-  
თამაში გაუმართავთ გოგო-ბიჭები საღ-  
სალამათნი დაგვიბრუნდნენ. მთავარს  
ერთი მსხვილნანავიანი გოგოსთვის ჩაუ-  
ვლია ხელი და თანო სად არის, აქ მომგვ-





ან საიდან უნდა დავიწყოთ თანამედროვე  
მწერლობის ათველა — ეს ძალზე ინდივიდ-  
უალური საკითხია. ბევრისთვის ათვლის  
წერტილი **XX** საუკუნის 50-იანი წლებია,  
ზოგი კი მთელ გასულ საუკუნეს თანამედ-  
როვე ეპოქად მიიჩნევს. რაც უნდა ვთქვათ,  
ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ  
დოჩანაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე ის ადამი-  
ანები არაან, რომელთა მხატვრული ფიქრი  
— თუ ყველა ნაწარმოები არა, რამდენიმე  
მაინც — დროს ძალიან დიდხანს  
გაუძლება.

არ შეიძლება ილაპარაკო თანამედროვე კლასიკოსებზე და რეზო ინანიშვილი არ ახსენო. შესანიშნავ ავტორად მიმაჩინა ბესიკ ხარანული. პროზაშიც და პოეზიაშიც ერთნაირად საინტერესონი იყვნენ გოდერძი ჩიხელი და ზაზა თვარაძე. სამწუხაროა, რომ ჩვენს გვერდით აღარ არიან.

ახალგაზრდა ავტორებიდან ზაზა ბურ-ჭულაძეს დავასახელებდი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება მის ნაწერებს სხვადასხვაგვარად აღიქვამს, მე ის ძალიან საინტერესო მწერლად მიმაჩინია. კარგად წერს თამრი ფხაკაძე. განსაკუთრებით მხ-იბლავს მისი მოთხრობა „ბოსტანი კონ-ფლიქტის ზონაში“, რომლის ინსცენირებაც რამდენიმე თეატრის სცენაზე განხორციელდა.

სიტყვამ მოიტანა და, შესანიშნავად  
წერენ ქალები. ერთხელ ამერიკელი კლასი-  
კოსის ტრუმენზე კაპოტეს ინტერვიუს ვეითხ-  
ულობდი. ის ამბობდა, თუ გსურთ გაიგოთ,  
რა არის ნამდვილი მოთხოვა, ქეთრინ ენ-  
პორტერის „შუაღლის ღვინო“ ნაიკითხეთო.  
სამწევაროდ, ნაწარმოები ნაკითხული არ  
მქონდა, ის ინტერნეტის საშუალებით მოვ-  
იძიე და მართლაც გაოცემბული დავრჩი.  
ძნელია ტრუმენის რანგის პროზაიკოსის  
რეკომენდაციას არ ენდო.

— ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული  
ერთი ოქვენი წერილი მასშენდება. მასში  
VIII—IX საუკუნეების ჩინელი მწერლის,  
ბო ძიუ-ის ერთ-ერთი ლექსის შესახებ  
საუბრობთ. ვიტყოდი, „სტრიქონებში  
ლრმა აზრის მძებნელი“ მკითხველი ხართ,  
ამისთვის არასოდეს ინდობთ „ძვირფას  
მოსასხამს“.

— ლექსი, რომელსაც ის წერილი ეძღვნება, თამაზ ჩხერეკელმა რამდენიმე ათეული წლის წინ თარგმნა. მისი სათაურია: „ლოკაუს სადგურის კედელზე ჩემს მიერ დიდი ხნის წინ მიწერილი ლექსები“. ის ასე ჟღერს: „კედელზე მიწერილ ჩემს მდარე ლექსებს, კაცთა მოდგმისთვის არა აქვს ფასი. ნიშანთა მნერივი დაპფარა მტვერმა და ჟამთასვლისგან მოედო ხავს. მხოლოდ იუანი — ხელმწიფის კაცი, სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს, არ ინდობს თავის ძვირფას შოსასხვაშს, აშორებს მტვერს და კითხულობს ლექსებს“.

რისთვის დაინტერა, რას და როგორ გამოხატავს ეს ლექსი? როგორ იბადება ის განუმეორებელი, ბრძნული სისადავითა და ლაკონიზმით საკავე განწყობა, რომლის „დაწერაც“ ყველაზე რთული ამოცანათა-განია ბოეტისთვის? ამ ყველაფერს ბორიუ-ი სიტყვა-კოდების მნიშვნელისა თუ სპირა-ლის აკინძვით აღწევს. ეს სიტყვა-კოდები ერთმანეთს „ეშინაარსებიან“, ფიქრისა და განცდის ერთიან ველს ქმნიან და გე-ნიალურ მთლიანობას ისე აღწევენ, რომ საკუთარ მნიშვნელობას არ კარგვავენ.

ରାଜ୍ୟ, ମାଲାଲ ତମେଖିଆଥେ କ୍ଷାସୁଧରନୋତ, ମିନଦା ଓତାର ଫୀଲାଦିସ ଏରତୀ ଲ୍ୟେକ୍ସିପ୍ ଗା-  
ବିକ୍ସନେବନ୍ତ. ମିକ୍ଵିର୍ସ, ରନ୍ଗମର ଶୈଳେଖମନ୍ତା ଅସେତିଲ  
ଲ୍ୟେକ୍ସି 1956 ମେଲ୍ସ — ରନ୍ଗଚା କ୍ରମକାରତ୍ତିଲିଲେ  
ଯୁରିଲୋନ୍ଦେବୀ ମିନରତ୍ତେବନ୍ଦା ରୁ ସାଦକ୍ଷରଣା ଶେ-  
ଲାଦେବୀ ତାଶୀ ଉ୍ତ୍ତରାବଦନ୍ତର୍ବେ. 50-ରୀବିନ୍ ଲ୍ୟେବଶି  
ଗାମରୁପେମୁଲ୍ଲିଲେ „ତମେଖିଲିଲେ ଅନତିଲୋଗିଲା“ ବନାକ୍ଷେ  
ରୁ ଗାବନ୍ଦୁପ୍ରଦିଲେ ଗେର ବନାକ୍ଷେ ତୁନ୍ଦିଲାକୁ ସାମି-  
ନ୍ଦ ଲ୍ୟେକ୍ସି, ରନ୍ମେଲସାକୁ ତମେଖିଲା ରାଗାର-  
କ୍ଲିପ୍‌ପଦି. ମି ଡରନ୍ସ ଜୀ ଓତାର ଫୀଲାଦେବୀ ନେରଦା:  
„ନ୍ଯୂମିଲେ. ମନ୍ତ୍ର୍ୟେବନ୍ଦିଲ୍ଲି ରା ସ୍ଵେଚ୍ଛି କ୍ରାମଲ୍ଲି, ତାଶ  
ଏତ୍ତମାସନ୍ତେବା ରା ସାଫଲ୍ଲାକୁ ଉରତ୍ତବୀଲେ. ଏହି ଶୈ-  
ମନ୍ଦଗମନିଲେ ଫଲ୍ଲେବୀକୁ ବାଙ୍ଗଲ୍ବନ୍, ବେଳବନାଶ ଶେର-  
ହେବା ତାତାଶି — ଏରତୀ. ଆହ, ଗାଇଲ୍ଲିଲେ ସ୍ଵୁଲ  
ପ୍ରତିତା ବାନ୍ତି, ମେତ ମନ୍ତ୍ର୍ୟେବନ୍ଦାକୁ ବିକ୍ରେତ୍ତା  
ଶେବନ୍ତବୀଲେ. ନ୍ଯୂମିଲେ, ମନ୍ତ୍ର୍ୟେବନ୍ଦିଲ୍ଲି ରା ସ୍ଵେଚ୍ଛି କ୍ରାମଲ୍ଲି,  
ତାଶ ଏତ୍ତମାସନ୍ତେବା ରା ସାଫଲ୍ଲାକୁ ଉରତ୍ତବୀଲେ“.  
ମିଶ୍ରବନ୍ଦୀରିବା. ସାନ୍ତ୍ରାର ଗାନ୍ଦିନ୍ଦ୍ରବନ୍ଦାଶ କ୍ରମନ୍ତିବନ୍  
ବନ୍ଦୀବନ୍ଦା — ରନ୍ମଲ୍ଲିଲେ „ରାନ୍ତ୍ରାରାକୁ“ ମଥୋଲ୍ଲାନ୍ତ  
ଗାମରୁକ୍ରିତ୍ତିବନ୍ଦା ତମେଖିଲ୍ଲିଲେ ଶୈଳିଲ୍ଲାତ.

# აოეთი შოთა ქავთარაძე:

## „სათქმელი ბევრი დამიგროვდა“

ნერა ადრეულ ასაკში დაიწყო. პირველად და ურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. მას შემდეგ მისი ნანარმოებები — ლექსები, მხატვრული თარგმანები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური ნერილები — პერიოდულად ქვეყნდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. შოთა ქავთარაძის თარგმანებით გაეცნო ქართველი მეიობეველი კლასიკურ ესპანურ ეპიგრამებს, ცალკე წიგნები და მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. ბატონი შოთა სამოცდაათიანელთა თაობას განეცუთვნება, მაგრამ ამ თაობის მხატვრულ-ესთეტიკური ლირებულებებისგან განსხვავდით, ერთ-გული დარჩა იმ „პოეტური ორიენტირებისა“, რასაც კონვენციური ლექსი ჰქვია. მისი ლექსები, მიუხედავად ინტონაციური სხვაობისა, ნიუანსობრივად მაინც ენათესავება ხალხურ პოეზიას, უაღრესად გულწრფელი გამჭვირვალობითა და უბრალოებით რომ გამოირჩევა.

— თქვენი თაობა, მიუხედავად კო-  
მუნისტური რეჟიმის წნევისა, მოესწო-  
საქართველოს, სადაც ჯერ კიდევ იგ-  
რძნობოდა ფეოდალური ყოფის პრი-  
მატი. ვგულისხმობ ბუნებასთან თანა-  
კონკრეტულ მასაზე და კონკრეტულ  
ვფიქრობ, რა შეცდომა დავუშვი, რა ვერ  
განვსაზღვრე. ზოგჯერ ეს უძილო ღამედ  
მიჯდება, თუმცა გაცნობიერებული მაქვს,  
რომ ახლა ვერაცერს შევცვლი, „თავსა ახ-  
ლად ვერგონ იშობს“.

— ჩემს ბაგრევობაში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გუთანი და სახნისი, ნისქვილი და სხვა ამგვარი ატრიბუტიკა, უცხო და გაუგებარი გახდებოდა დღევანდობის თაობისას. სოთოდა

დელი თაობებისათვის. სოფლის — მთიულეთში დავიბადე და ფშავ-ხე-  
მიწისძირით დაორისა კომორისტთა

ძენისტვილე უაღლესად კოლორიტული პიროვნება იყო, ნისტვილი კი სოფლის მაცხოველების თავშესაყარი ადგილი, სადაც გაიგებდი ყველა ჭორსა და მართალს. ამ ლექსში ერთგვარი ნოსტალგია იმ წლებზე, იმ შთაბეჭდილებზე, დღემდე რომ მასაზრდოებს და თავს მასხენებს. ფასანაურში დავიბადე, ოჯახში მეექესე შვილი ვიყავი. ფასანაური მაშინ ფრონტისპირა სოფელი იყო – გერმანელები კავკავთან იდგნენ. სამუდამოდ დამამახსოვრდა 1941ნელი, სამხედრო გზაზე მან- ვსურეთში ვიზრდებოდი, სადაც ხალხურმა პოზიამ არნახულ დონეს მიაღწია და სადაც გარითმული ლექსი ბატონობს... ამ გარემოებამ განსაზღვრა ჩემი პოეტური სტილის სიმარტივე და უბრალოება. ასეთ-სავე გარემოში გაიზარდნენ ბესიკ ხარანაული, მამუკა წიკლაური, ჯარჯი ფხოველი. მათ თავიდანვე უარი თქვეს ტრადიციული ლექსის სასლექსო ფორმებზე და სცადეს, თავი დაედნიათ ხალხური პოზიის გავლენისაგან. ეს გარემოება მხოლოდ ფორმალურ ძიებად ჩატვლებო-

ქართველი გადამძული კოლონიები, ომი, შიძე-შილი, გაჭირვება. მამა მე-19 საუკუნეში იყო დაბადებული, ხოლო დედა — 1900 წელს. ჩვენ კი, სამამა ექვსი დღემდამიშვილიდან, აგრე 21 საუკუნეში შემოვდგით ფეხი. ასე რომ, ჩვენი ოჯახის ისტორია სამ საუკუნეზე არის განფენილი. მამა პირველ მსოფლიო ომში მონაბილურბდა, რუსის ჯართან ერთად ვარშავაში იმყოფებოდა. ნერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ საინტერესოდ ყველდა ქვეყნის ამბებას. ომის დასრულებისთანავე ჩვენი ოჯახის ნაწილი ფშავ-ხევსურეთში გადავიდა საცხოვრებლად. მამა გზების შეკეთების ოსტატად მუშაობდა. ორნაცილში დაგპინავდით, ფშავისა და ხევსურეთის მდინარეების შესართავთან, გზის ოსტატებისათვის განკუთვნილ სახლში. გარშემო, 5-6 კილომეტრის რადიუსით, კაციშვილი არ ცხოვრობდა, ზამთრობით, განდაორმის შეცვლასთა ერთად რომ არ შეეცვალათ თემატიკაც (უფრო ადრე ამის ცდები გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებაში შეინიშნებოდა), მათ ფიქრიანი, ტკივილიანი განწყობილება დაამკვიდრეს, უარი თქვეს ჰეროიკულ პათოსზე, ბუნების სურათებით ტკბობაზე. ჩემში კი არ იყო, შინაგანად, ტრადიციის უარყოფის მოთხოვნილება. ამ მხრივ, შეიძლება რეტროგრადადაც ჩამოვალოთ. ერთ ჩემს ლექსში ვალიარებ კიდეც: „ვერ შევბედე ოკანებს, კუნძულებზე დავრჩი, ვერც ვეშაპზე ვინადირე, ვერ ვესროლე ბარჯი“. „ვეშაპზე“ ნაიძორობა უფრო რისკიანებს და გაბედულებს ხელენიფებათ. თავს ვხრი მათი რისკისა და გაბედულების წინაშე. რა თქმა უნდა, ეს ჩემი ლირსება არ არის, მაგრამ არც დიდ ნაკლად მიმაჩნია, რადგან ტრადიციული ლექსის ადგილი ყოველთვის იყო და იქნება ქართულ პოეზიაში..

საკუთრებით დიდოთოვლობის დროს, თვე-ობით ვიყავით მოწყვეტილი გარე სამ-ყაროს. ხანძოკლე ზაფხულის პერიოდში მამას დავყავდი დღეობებში, ხატობებში. მაშინ გაჩნდა სიყვარული ამ ორივე კუთხ-ისადმი. დედაც თვითონასნავლი გახლ-დათ, ძალიან უყვარდა წიგნები და შვილებსაც შეგვაყვარა. შვიდი წლისა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში შემიყვა-ანეს სასწავლებლად. ჯერ კიდევ იგრძნო-ბოდა ომის სუსტი. დათარებობდნენ შეი-არალებული ბანდები. ძარცვავდნენ მგ-ზავრებს, ოჯახებს. სოფლებს ეცემოდნენ ქისტები, იტაცებდნენ საქონელს, ხო-ცავდნენ მოსახლეობას, თუმცა არც ხევ-სურები რჩებოდნენ ვალში. ქისტების მსხ-ვერპლი გახდა ერთი ჩემი თანაკლასელი და რამდენიმე სკოლელი. ყველაფერი ეს ანახი მოვაწარი ანგარისაო სამიურანი

ლაფერს ძალიან განვიცდი, ხშირად — ჰოეტურ კრებულზე „მზეოუკან“



ნამდლვარებული გაქვთ რაბინდრანათ  
თაგორის სიტყვები — „ასე დასრულდა  
ჩემი ცხოვრების პირველი წიგნი.“  
„მზეთუკან“ რჩეულია თუ შემაჯამებე-  
ლი პოეტური კრებული?

— ერთიც და მეორეც. მე არ  
მივეკუთვნები ნაყოფიერი მწერლების  
რიცხვს. ჩემს ასაკში მეტი უნდა მოესწორო  
ადამიანს, რომ იტყვიან, კაცია და გუნე-  
ბა... რაც არის, ეგ არის! კრებულმა  
„მზეთუკან“ მოიცავა თითქმის კველაფერი,  
რაც, ჩემი გაგებით, ასე თუ ისე, ღირებუ-  
ლი შემიქმნია. ცოტაა, ძალიან ცოტა, მა-  
გრამ ამ ცოტაში კარგიც თუ არის, არა  
უშავს. შემოქმედება თავგანწირვას  
მიითხოვს, რისი უნარიც, სამწუხაროდ,  
არ აღმოჩანდა. ბევრი რამ ვერ დავთქმა,  
ბევრ რამეს ვერ შეველიყ... კრებულზე  
ნამძღვარებულია თაგორის სიტყვები:  
„ასე დასრულდა ჩემი ცხოვრების პირვე-  
ლი წიგნი...“ მაგრამ იგივე თემა მეორდე-  
ბა ყოველთვის, გაივლის საფეხურებს, ვი-  
დრე უფრო დიდ სიმაღლეზე არ გადა-  
ჭრის ახალ ამოცანებს. ყოველი ჩენგნანი  
მოდის, რათა შექმნას თავისი ცხოვრების  
მხოლოდ ერთი წიგნი, რომლის ცალკეუ-  
ლი თავები ცხოვრების სხვადასხვა საფეხ-  
ურს უკავშირდებიან. რაც უფრო დიდია  
მისი ბრუნვის რადიუსი, მით უფრო გან-  
სხვავდებიან ეს ცალკეული ნაწილები  
ერთმანეთისგან, მაგრამ სინამდვილეში,  
ისინი ერთი ცენტრის გარშემო ტრიალე-  
ბენ და ერთსა და იმავე ამოსავალ  
წერტილს უკავშირდებიან. მეც შევქმნი  
მცირე, უმნიშვნელო, მაგრამ ჩემი ცხ-  
ოვრების ერთი წიგნი.

— არაერთი ლექსი მიუძღვენით  
თქვენს მშობლებს. ამ ლექსებში შეინ-  
იშნება წარმავლობის განცდა და მას-  
თან შეურიგებლობა. გაგახსენებთ რამ-  
დენიმე ლექსს „მამის სახლი“, „სინა-  
ოლე“, „გარდასვლა“...

— ხშირად ვფიქრობ მშობლებზე. მათ  
მძიმე ცხოვრება გამოიარეს, ომი,  
რეპრესიები, უკანონობა. ამ გაჭირვებაში  
გაგზავნდეს, გვასწავლეს, გზაზე  
დაგვაყენეს. ეს გმირობა იყო მათი მხრი-  
დან. სამწუხაოოდ, ადამიანები მიდიან და  
მხოლოდ მოგონებებს ტოვებენ. ჰირვე-  
ლივე ლექსები ნარმავლობის განცდამ,  
უფრო სწორად, მასთან შეურიგებლობამ  
დამანერინა. ვცდილობ „დავამაგრო“  
დროში და სივრცეში მოფარფატე ლან-  
დები და აჩრდილები გასაქრობად რომ

დეკი და აილილობები გაასრულოთ ამ თუ ისწრაფვიან. მახსენდება დაიდი ამერიკელი მწერლის თომას ვულფის რომანის სათაური „შინ ვერავინ ბრუნდება“ . „შინ“ როგორ არ ბრუნდებან, მაგრამ ეს „შინ“ ის ადარ აღმოჩნდება ხოლმე, რომელიც გახსოვდა, გიყვარდა და რომელთან შეხვედრასასაც ესწრაფვოდი. სწორედ ამგვარი განხყობილებით არის ნასაზრდოები შენს მიერ ზემოთ დასახელებული ლექსები.

— ამ ბოლო დროს თქვენი რამდენიმე გამოუქვეყნებელი მოთხრობა წავიკითხე. რატომ გადაწყვიტეთ პროზაში ასეთობა ძირი?

— იყ განწყობილები, თემები, რომლებიც დექსად ვერ ამოვთქვი და სურვილი გამიჩნდა პროზაში მეცადა ბედი, სათქმელი ბევრი დამიგროვდა. რამდენად შევძელი, თუკი გამოქეცეუნდა, თავად მკითხველმა განსაჯოს. ვნახოთ,

რას მოიტანს წლები. — **ახალი ლექსები თუ გაქვთ?**  
— ახლაც ვწერ ხოლმე, მაქვს ბევრი  
გამოუკვეყნებელი ლექსი. იმედია, რო-  
დესმე დაიბეჭდება.

*L. L. M. S. 1898.0720.002*





დასაცისი №60-63

სამურავი - სამარავი

სამურაისთვის ხარაკირი ისეთივე იოლი და უძრალი გადასაწყვეტილამ არის, როგორც ჩვენთვის ჭიქა წყლის დალევა. კამიკაძის ფენერმნეს საფუძლად სწორედ სამურაის ფსიქოლოგია უდევს და არა მხოლოდ ფანტიზმი. არც სამურაის, არც კამიკაძეს არ უჭიროს საყუთარ საფლავზე ყვავილის მიტნა. სამურა იქნებ ამიტომაც ერითმება სამარეს.

**შიდასტა - შიდასტანი**

რა თქმა უნდა, შიქასტა უჭიქოდაც და უდვინოდაც შიქასტაა, მაგრამ ლხინშიც უფრო ბუნებრივად გამოიყერება.

**თარიღი - ცარიღი**

მთელი ცხოვრება მესმის ეს რითმა: ტარიელი — (ჯანე) ცარიელი.

ჭიქიანზე უფრო ეს, ასე ვთქვათ, დარიბი რითმა, დარიბი ფულის, და არა პროსოდის თვალსაზრისით.

**ზამთარი - ნაფალის**

თხოულობსო, ალბათ. მართლაც, ტანისამოსი, ზამთარში რომ გაიხადე, უნდა ნაფტალინში შეინახო.

**დამაგი - დუმაგი**

ის ამბავი, რომ დუმები კაცებსაცა აქვთ, არაფერს ცვლის.

**ქოჩორი - ქაჩორი**

დიადი საქმიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

**ახარიკის - ახალიკი**

თუ ვინმესი იყო ამალრიკი, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა ამერიკის.

**თარზის - დარგის**

ჯერ კაცი არ მინახავს, უტერფოს ერბინოს.

**ლახტის - დახტის**

თუ ლახტის თამაშის დროს არ იმოძრავე — არ იხტუნავე — ისე აგინვავენ ფერდებს, ვერანაირი რითმა ვერ გიშველის — ვერც უჭეულ და ვერც ჭიქიანი.

**მუშაობა - მოშივა**

ვისაც უმუშავია, ყველას კარგად მოეხსენია: მუშაობამ მოშივა იცის! ამ შემთხვევში კეთილხმოვანებასა და ჰარმონიას ბადებს შრომა (ალბათ).

**ციკლონი - ციკლონი**

კიდევ უფრო ჭიქიანი იქნებოდა ეს რითმა, ციკლონი რომ ორივე თვალით იყოს ბრმა.

**პოეტი - პოეტი**

განმარტება ზედმეტად მიმარინა, ისე დაც ყველაფერი ნათელია, უფრო სწორად — ბნელი...

**ქალი-მისტრალი - კალმისტარი**

რა თქმა უნდა, გაბრიელა მისრალზე საუბარი.

**ლექსი - სექსი**

კომენტარი მართლაც ზედმეტია. ჭიქიანი — ამ რითმასავით ჭიქიანი კაცი ამ

თემაზე დიდ და საინტერესო წიგნს დაწერდა...

**ტვენი - ტვინი**

მარკ ტვენზეა ლაპარაკი. აბა ტვენს უტვინობა გაუურითმოთ?

**მოჯამაგირის - მაჯა მაგარი****ფსალმუნი - სალმუნი**


არა მგონია, აქ განმარტება იყოს საჭირო!

**ოდისეა ელიტის - პოეტია ელიტის**

ნობელიანტი პოეტი ელიტის ელიტას მოსწონდეს, ამაში საკვირველი ალბათ არაფერია. ასე რომ, ეს აზრი რითმისა ჭიუასთან ახლოსაა.

**აგოლა - ფრაგულად**

ვინც იცის, რომ ანგოლაში ფრანგულად მეტყველებენ, მისოვის სარითმის წყვილი გარკვეულ აზრს შეიცავს.

**ტარიელ ჭანტურია****ჭკვიანი რითმების ლექსიკოდან****იაზიდები - მიაზიდებით**

ტვირთსო ალბათ. გასაგებია.

**ყგები - ყგები**

ენა თავისითავად, მაგრამ საკამათო არაა, რომ ყბედს ყბებიც მაგარი უნდა ჰქონდეს.

**დინჯად - სინჯა**

დაუჯერეთ რითმას — ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გასჭერით.

**არსენა - არსენალს**

ბუნებრივი ჩანს ის ამბავი. რომ არსენა არსენალთან — იარალის საწყობთან არის გარითმული და არა, ვთქვათ, იყნასთან ან კომპიუტერთან.

**რეალი - რეალი**

რაულს გარდა „რეალში“ კაშავაშა ვარ-სკვლავი სხვაც ბევრია, მაგრამ ამით სარითმი წყვილს ჭიუა არ აკლება.

**გოფრიდ განენ - გოფრიდ განენ**

ვერ გეტყვით, მღეროდა თუ არა შესანიშნავი გერმანელი პოეტი გოფრიდ ბენი, მაგრამ უმაღლეს პოეტურ ჰარმონიას რომ იყო ნაზიარები, ცხადია. ასე რომ, რომც არ დაედგას გოფრიდ ბანი, გოფრიდ ბენი მაინც ლოგიკური რითმა.

**მარადონა - მარადონა**

მარადონას იქნებ გასტრონომშიც შევ-ხვდე კაცი, ან, ვთქვათ, პოლიტიკოში, მაგრამ ყველაზე ბუნებრივი მისი სტადი-

ონზე ყოფნაა, მით უმეტეს — მსოფლიოს ყველაზე დიდ სტადიონზე: 1 ფეხბურთელი და 1 სტადიონი ბუნებრივად დაუწყვილდენ ერთმანეთს.

**სევული - წყალული**

ამ სარითმო წყვილის გონიერებას ირმუნებს ყველა, ვისაც აქვს სხეული. ასეთი კი ადამიანთა დიდი უმრავლესობა...

**გიზევს - გიზ ნას**

ეს მართლაც ჭივიანი რითმა — ყველა ბიზნესშია ჩართული ჩვენს მეტი, ძვირფასო მეტობელო! — ყველამ რაღაც იმურა, ჩვენს გარდა, ჩვენ რითმების ამარა დაერჩით — ჭივიანი ან სულელი რითმების ამარა.

**კილერი - მილერი**

არც ფრიდრის შილერს და არც არტურ მილერს არავის საუბარი, ნაკლები ხალხი არა ყავთ დახოცილი თავიანთ პირებში. ასე რომ, რითმა ამ შემთხვევაშიც ამტკიცებს თავის ჭიუასა და გონებას! — „ქილერი“ მორგებული რითმაა ერთისთვისაც და მეორესთვისაც.

